სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

www.procurement.gov.ge

e NEWSLETTER

N4

გამოცემა 2015

გვეწვიეთ! www.procurement.gov.ge

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მისამართია:

თბილისი, 0113,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა (ისანი - ყოფილი ბაღდადის ქუჩა), №8.

სააგენტოში მოქმედებს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი. სამუშაო დღეებსა და საათებში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

(032) 2 48 48 22

და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მიიღოთ კომპეტენტური პასუხები და კონსულტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ვებსაიტი

2015 წლის თებერვლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ოფიციალური ვებსაიტი www.procurement.gov.ge ამოქმედდა, რომელიც ინფორმაციულად კიდევ უფრო დატვირთული, მოსახერხებელი და მომხმარებელზე ორიენტიებულია.

ვებსაიტზე მთავარ ბლოკებში განთავსებული ის ელექტრონული სერვისები, რომლებიც მომხმარებელთათვის ყველაზე უფრო საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, უზრუნველყოფს მომხმარებლის კომფორტულ მომსახურებას. უმთავრესი მათ შორის არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც დღეისათვის რეგისტრირებულია მომხმარებლების 25 760 ჩანაწერი.

დაინტერესებულ პირებს მარტივად შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, კანონმდებლობის, აუცილებელი საინსტრუქციო მასალების და მეთოდური მითითებების, სიახლეების, განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, მათთვის საინტერესო სერვისებისა თუ სხვა მონაცემების შესახებ.

„ახალი ვებსაიტი გამოირჩევა თანამედროვე, დახვეწილი დიზაინით, მარტივი ნავიგაციით, გადაწყვეტილია კორპორატიულ ფერებში. ყველაზე მოთხოვნადი სერვისები და მოსაძებნი დოკუმენტები თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციაზე მომენტალურ წვდომას“, - აღნიშნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორმა დავით ჯაიანმა.

ვებსაიტზე, ასევე, განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ჟურნალი eNewsletter, რომელიც ონლაინ რეჟიმში მიეწოდება ათასობით მომხმარებელს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სოციალურ ქსელში Facebook-ში ბევრი მიმდევარი ჰყავს. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე წვდომა შესაძლებელია Facebook-ავტორიზაციის საშუალებითაც, რის შედეგად სტუმრის სტატუსით შესული მომხმარებლისგან განსხვავებით, ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა სერვისები და მოდულები.

საქართველო - მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენების წარმატების ისტორია



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიღწევების შესახებ არის საუბარი სტატიაში, რომელიც 2015 წლის თებერვალში მსოფლიო ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სტატიაში ყურადღება ეთმობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებულ რეფორმებს, ერთიანი ელექტრონული სისტემის საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით მსოფლიო ბანკის ტენდერების ჩატარების საკითხებს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმატებულ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას.

2012 წელს მსოფლიო ბანკმა დაიწყო საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის შეფასება, რომლის მიზანს მისი მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. შეფასებამ გამოავლინა სფეროები, რომელიც საჭიროებდა ცვლილებას და დახვეწას.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ თითქმის ორწლიანი ინტენსიური შიდა სამუშაოებით და სამთავრობო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით გაატარა ეს ცვლილებები. მსოფლიო ბანკმა დაიწყო საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის მეშვეობით სამშენებლო დარგის პროექტების შესყიდვა, რომლის ხელშეკრულების ღირებულება 10 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლებია, ასევე საქონლის შესყიდვა, რომლის ღირებულება ერთი მილიონი აშშ დოლარის ფარგლებშია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 14 ტენდერი, რომლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 22 მილიონ აშშ დოლარზე მეტს და იგი მოიცავს გზების, შენობების, კანალიზაციის და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, აღნიშნავს სტატიის ავტორი.

საგულისხმოა, რომ შესყიდვების სააგენტოს მნიშვნელოვანი მიღწევები ასევე აღიარა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ. მათ შორის: OECD (Organization for Economic Co-operation and Development — ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია), United Nations (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და Transparency International (საერთაშორისო გამჭირვალობა). ამ უკანასკნელმა, 2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო დაასახელა აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის საუკეთესო ქვეყნად, - ნათქვამია სტატიაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო კვლავ განაგრძობს რეფორმებს და ამჟამად მუშავდება არაერთი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის განვითარებას და მიმართული იქნება სახელმწიფო სახსრების რაციონალური, ეფექტური და გამჭვირვალე ხარჯვისაკენ.

შეხვედრა მსოფლიო ბანკის დელეგაციასთან

2015 წლის 11 მარტს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფისში გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა მსოფლიო ბანკის დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიო ბანკის შესყიდვების უფროსი სპეციალისტები ფერნანდო დიიპალი და ანდრეს მაკ გაული.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან შეხვედრას ესწრებოდნენ თავმჯდომარის მოადგილე კახა დემეტრაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი სპეციალისტი დიმიტრი გულისაშვილი.

საუბრის თემა შეეხებოდა მსოფლიო ბანკისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომავალ თანამშრომლობასა და ურთიერთობის პერსპექტივებს. ასევე, საუბარი იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების, ტრენინგების მიმდინარეობის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა სამომავლოდ ტრენინგების ჩატარების თემებზე.

შეხვედრისას, ასევე, მხარეებმა ისაუბრეს საჯარო შესყიდვების ცოდნის გაცვლის ფორუმზე, რომელიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და თანამშრომლობით წელს 9-12 ივნისს იმართება საქართველოში, ბათუმში.

შეხვედრის დასასრულს, სტუმრებმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შენობა დაათვალიერეს. გაეცნენ სააგენტოს სამუშაო პროცესს და თანამშრომლებს.

მოლაპარაკებები თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან (TIKA) გრძელდება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით განაგრძობს მოლაპარაკებებს თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან (TIKA).

შედგა შეხვედრები TIKA-ს კოორდინატორთან ბატონ მუსთაფა ქორქმაზთან. შეხვედრებზე ხაზი გაესვა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხში თანამშრომლობის შესაძლებლობას. კერძოდ, თურქეთის შესყიდვების სააგენტოს გამოცდილების გაზიარების, დავების განხილვის პრაქტიკის გაცნობის, სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების, თურქ ბიზნესმენებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზების კუთხით და ა.შ.

ამ ეტაპისთვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ატარებს თურქეთის ბიზნესმენებთან და ბიზნეს ასოციაციებთან შეხვედრასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ ღონისძიებებს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მზად აქვს აღნიშნული შეხვედრის დღის წესრიგი, წარსადგენი პრეზენტაციები და მომზადებული ჰყავს სპიკერები.

თურქეთის ბიზნესმენებთან შეხვედრის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის გაზრდა, შესრულებული კონტრაქტების ხარისხის გაუმჯობესება, თურქი ბიზნესმენებისათვის მიმდინარე ინფორმაციისა და სამომავლო სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და აუცილებელი კონსულტაციების გაწევა.

ღონისძიების შემდეგ, რომელიც უახლოეს ხანებში გაიმართება, მონაწილეებს უსასყიდლოდ გადაეცემათ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცემული მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები და სპეციალური გამოცემის თურქულ ენაზე ნათარგმნი ბუკლეტები.

დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ახალი წესი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ახალი წესი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც გამოარჩევს მას ძველისაგან, მდგომარეობს შეწყვეტილი და არშემდგარი ტენდერების გასაჩივრებაში. აღნიშნული დანაწესი მომჩივანს აძლევს შესაძლებლობას, სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით, დაიცვას საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები.



2015 წლის 27 თებერვალს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

ახალ წესში განსაკუთრებულ დატვირთავს იძენს ის ნორმა, რომლის შესაბამისად რეგლამენტირებულ იქნა არასამთავრობო სექტორის მიერ დავების განხილვის საბჭოს წევრების არჩევა (საბჭო დაკომპლექტებულია პარიტეტულ საწყისებზე და მასში თანაბრად შედიან არასამთავრობო სექტორისა და სააგენტოს წარმომადგენლები). ხაზგასასმელია, რომ, წესის საფუძველზე, არჩევნები ტარდება დამოუკიდებლად, თავად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ, სააგენტოს ჩაურევლად. მეტიც, სააგენტოს თავმჯდომარეს არ აქვს უფლება, უარი თქვას არასამთავრობო სექტორის მიერ არჩეული წევრის დანიშვნაზე. აგრეთვე, მოწესრიგდა საბჭოს წევრობის სტატუსის შეწყვეტის გარემოებები.

იმისათვის, რომ დაინტერესებული პირებისათვის გამარტივებულიყო საჩივრის წარდგენა, შემუშავდა საჩივრის შევსებისა და წარდგენის ინსტრუქცია, რომელიც გასაჩივრების მსურველთათვის ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს, ვინაიდან მასში დეტალურად აღიწერა საბჭოში ტენდერების ელექტრონულად გასაჩივრების პროცედურები.

საგულისხმოა, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, მიმართოს საბჭოს აპარატს და მიაწოდოს მას ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების შეფერხების შესახებ. თავის მხრივ, საბჭოს აპარატს უფლება აქვს, გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით მოითხოვოს შემსყიდველი ორგანიზაციიდან ნებისმიერი ინფორმაცია. საყურადღებოა, რომ საბჭოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ახალი წესი ამოქმედდება 2015 წლის 16 მარტიდან.

ცვლილებები ტენდერებში მონაწილეთა შერჩევა/შეფასების პროცედურებში



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პერმანენტულად სრულყოფს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას, რათა ტენდერებში მონაწილეებს შეუქმნას მაქსიმალურად გამჭვირვალე და წინასწარ, ნათლად განსაზღვრული სამართლიანი პროცედურები. ამ მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესში“ **შეტანილ იქნა ცვლილებები**. რომლის მიხედვითაც, დაწესდა შერჩევაჰშეფასების ზოგიერთი პროცედურის ვადა, სახელდობრ, შემსყიდველი ორგანიზაციას დაუწესდა კონკრეტული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მან უნდა შეაფასოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და გამოავლინოს გამარჯვებული.

შეფასების ეტაპი რამდენიმე ქვეეტაპად იყოფა, ყველა მათგანს კი კონკრეტული დრო ეთმობა. ეს ეტაპებია: ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება; დაზუსტება (საჭიროების შემთხვევაში); დაზუსტებული დოკუმენტაციის შეფასება (საჭიროების შემთხვევაში); შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ანჰდა ექსპერტიზის წარმოდგენა და შეფასება (საჭიროების შემთხვევაში); გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა; საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა და შეფასება (საჭიროების შემთხვევაში); ხელშეკრულების დაზღვევის ან გარანტიის მოთხოვნა (საჭიროების შემთხვევაში) და გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება. გარდა ამისა, ცვლილება შეეხო ტექნიკური ხასიათის ზოგიერთ დეტალს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შეფასებით, აღნიშნული ცვლილებების დანერგვა უაღრესად მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის. სააგენტო იმედოვნებს, რომ ცვლილებები მოაწესრიგებს გაჭიანურებული, აგრეთვე ჩაშლილი ტენდერების პრობლემას და ხელს შეუწყობს ტენდერების უფრო სწრაფად, მოქნილად და ეფექტიანად ჩატარებას, ეს კი დადებითად აისახება, როგორც სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულებაზე, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაზე.

შემსყიდველი ორგანიზაციების, მიმწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებული სხვა პირების მიერ სიახლის უკეთ გაცნობის მიზნით, შერჩევა/შეფასებასთან დაკავშირებული ცვლილებები ამოქმედდა 2015 წლის 15 თებერვლიდან, ხოლო სხვა, ტექნიკური ხასიათის ცვლილებები კი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. ცვლილებების დაინტერესებულ პირთათვის ადვილად აღსაქმელად, სააგენტომ ვებგვერდზე (**www.procurement.gov.ge**) გამოაქვეყნა შერჩევა/შეფასების მთლიანი ეტაპის დეტალური აღწერა (კომენტარები) და სათანადო სქემა.

ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა

2015 წლის 26 იანვარს, საქართველოსმთავრობის №59 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილთან დაკავშირებულ 2015 წლის სამოქმედო გეგმას.

სამოქმედო გეგმა საჯარო შესყიდვების სფეროში ითვალისწინებს შემდეგ პრიორიტეტებს:

- ასოცირების ხელშეკრულების თანახმად საკანონმდებლო დაახლოვების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყებას;
- დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას (შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლების ტრეინინგების ჩატარების გზით).

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

საკანონმდებლო დაახლოვების იმპლემენტაციის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის (roadmap) შემუშავების დაწყება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნით მოხდა SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD ერთობლივი ინიციატივა) ტექნიკური დახმარების ინიცირება. ტექნიკური დახმარება ითვალისწინებს ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერას, სახელმწიფო შესყიდვების არსებული სისტემის, პრაქტიკის და კანონმდებლობის ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას შესაძლო საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ, მათი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითად სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

2014 წელს დაიწყო ტექნიკური დახმარების იმპლემენტაცია, კერძოდ პირველ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

ტექნიკური დახმარების ფარგლებში 2014 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში ჩატარდა შემდეგი სამუშაო შეხვედრები:

- 2014 წლის 22 ოქტომბერს ჩატარდა სემინარი ევროკავშირის ახალი დირექტივების შესახებ. სემინარში მონაწილეობა მიიღეს, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა, ასევე სხვადასხვა სამინისტროების და პრემიერ-მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭოს აპარატის წარმომადგენლებმა;
- 2014 ოქტომბერ-დეკემბერი, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილული იქნა ინსტიტუციური და საკანონმდებლობა ხარვეზების ანალიზი.

საკანონმდებლო დაახლოვების იმპლემენტაციის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება მოითხოვსევროკომისიასთან შეთანხმების შესაბამის დანართებზე მოლაპარაკებების განახლებას, რაც გამოწვეულია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით.2014 წლის 02 დეკემბერს განახლდა ორმხრივი მოლაპარაკებები შეთანხმების საჯარო შესყიდვებისთავის დანართებთან დაკავშირებით.

კანონმდებლობის ცვლილება

2014 წლის 25 სექტემბერს ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში საჩივრის წარდგენისა და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის კუთხით. ევროკავშირის შესაბიმისი დირექტივების მოთხოვნის გათვალისწინებით, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება აღნიშნულ საბჭოში შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. ცვლილების განხორციელებამდე კანონმდებლობა მსგავს ვადას არ ითვალისწინებდა.

დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების (სატენდერო კომისიების წევრების და აპარატის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ამოქმედდა სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო შესყიდვების კურსის უნივერსალურობიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი განკუთვნილია მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში და სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია; ასევე, იმ პირთათვის, რომლებიც, სამომავლოდ, გეგმავენ დასაქმდნენ შემსყიდველ ორგანიზაციაში, სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პოზიციებსა თუ თანამდებობებზე. 2014 წელს სასწავლო კურსი გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საქართველოს რეგიონების სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციის 92 თანამშრომელმა.

2014 წლის 19 სექტემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით და USAID EPI პროგრამის დახმარებით გაიმართა შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და საქართველოში აკრედიტირებული საკონსულოებისა და საელჩოების სავაჭრო წარმომადგენლებთან. დაახლოებით 120 მონაწილე დაესწრო შეხვედრას. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი მეწარმეების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეების, მოტივირება აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფო შესყიდვებში, გამჭვირვალე და სამართლიანი სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ასევე საჯარო შესყიდვების ბაზრის შესახებ ინფორმირება და ახალი ბიზნეს შესაძლებლობების გაცნობა კერძო სექტორსათვის.

2014 წლის მაის-ივნისში გასვლითი შეხვედრები მოეწყო საქართველოს ხუთ რეგიონში შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის. სამუშაო შეხვედრების მიზანი იყო რეგიონებში შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, რეგიონების მიხედვით იდენტიფიცირებული ხშირად დაშვებული შეცდომების ანალიზი და პრაქტიკული და სამართლებრივი რეკომენდაციების გაწევა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

2014 წლის 14 ნოემბერს შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებს, სამშენებლო სექტორში მოქმედ კომპანიებს და შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის. სამუშაო შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის მიღება სახელმწიფო შესყიდვებში უშუალოდ მონაწილე ორივე მხარისაგან - როგორც შემსყიდველი, ისე მიმწოდებელი ორგანიზაციებისგან, აგრეთვე სამშენებლო სექტორში შესყიდვების პროცესისას პრობლემების იდენტიფიცირება და სააგენტოს სათანადო რეკომენდაციების გაცნობა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვების კვალიფიციურად ჩატარების, შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების ცოდნისა და კომპეტენციის გაღრმავების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა და USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამის დახმარებით გამოსცა მეთოდოლოგიური მითითებები სახელმწიფო შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, კერძოდ: (i) შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვასთან, (ii) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, (iii) შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. ასევე გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, ხშირად დასმული შეკითხვების და პასუხების კრებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტი სააგენტოსა და სასწავლო ცენტრის თაობაზე.

DCFTA

http://economy.ge/ge/dcfta

http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/DCFTA_action_plan_GEO.pdf.aspx

რას ითვალისწინებს შეთანხმება?

ასოცირების შესახებ შეთანხმების სახელმწიფო შესყიდვების თავი ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში.

შესყიდვების ბაზრის გახსნა დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებასთან ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.

შეთანხმება ვრცელდება მხოლოდ იმ საჯარო შესყიდვებზე, რომელთა ღირებულება აღემატება შეთანხმებით გათვალისწინებულ მონეტარულ ზღვრებს, კერძოდ:

- 1,304,000 ევროს საქონლის და მომსახურების შესყიდვა და კონკურსები სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ;
- 20,000 ევროს საქონლისა და მომსახურების შესყიდვა სხვა დაწესებულებებისაგან;

- 5,186,000 ევროს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, მათ შორის კომუნალური მომსახურების სექტორში (ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ბუნებრივი აირის მიწოდება; დღესდღეისობით ჩვენთან ამაზე სახელმწიფო შესყიდვები არ ვრცელდება);
- 5,186,000 ევროს ღირებულების შესყიდვა კონცესიების შემთხვევაში;
- 414,000 ევროს საქონლისა და მომსახურების შესყიდვა კომუნალური მომსახურების სექტორში;
- 750,000 ევროს სოციალური და სხვა სპეციფიური მომსახურების შესყიდვა;
- 1,000,000 ევროს სოციალური და სხვა სპეციფიური მომსახურების შესყიდვა კომუნალური მომსახურების სექტორში.

მხარეები შეიძლება შემდგომში შეთანხმდნენ თავიანთი ბაზრების გახსნაზე იმ ხელშეკრულებებისათვისაც, რომელთა ღირებულება მოცემულ მონეტარულ ზღვრებს ქვემოთაა.

ხელშეკრულების მოსალოდნელი შედეგები

ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის მოცულობა 400 მილიარდ ევროზე მეტია. ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებისთვის ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობებს შექმნის, თუ ისინი იქნებიან კონკურენტუნარიანები. ევროკავშირის შესაბამისი ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებისათვის უნდა მოხდეს ეტაპობრივად. ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზარი სრულად გაიხსნება შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წელიწადში. სახელმწიფო შესყიდვების თავი მოიცავს დანართს, სადაც გაწერილია კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოებისა და შესაბამისად, ბაზრის გახსნის ეტაპები და საორიენტაციო ვადები.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა გავრცელდება კომუნალური მომსახურების სექტორში მოქმედ კომპანიებზე, რომელთაც გააჩნიათ ექსკლუზიური ანჰდა სპეციალური უფლებები (მაგ. ენერგეტიკის სფეროში, წყლის და გაზის მიწოდება). მოქმედი კანონმდებლობით კერძო კომპანიებს ასეთი ვალდებულება არა აქვთ. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა გავრცელდება კონცესიებზე (ანალოგიურად, შესაბამისი შინაარსის მქონე ურთიერთობებზე). ამჟამად კი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კონცესია არ არის სახელმწიფო შესყიდვის საშუალება.

ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნის საორიენტაციო ვადები

საორიენტაციო ვადები, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან	საქართველოს ბაზრის გახსნა ევროკავშირისათვის	ევროკავშირის ბაზრის გახსნა საქართველოსთვის
3 წელი	ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვები	ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვები
5 წელი	საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, ასევე საჯარო სამართალს დაქვემდებარებული პირების მიერ	საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, ასევე საჯარო სამართალს დაქვემდებარებული პირების მიერ
6 წელი	საქონლის შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ	საქონლის შესყიდვა ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ
7 წელი	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიების გაფორმება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიების გაფორმება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ
8 წელი	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ

EFTA - საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების პირობების პროექტი

ამიმდინარე წლის 4 თებერვალს ქ. თბილისში, ქორთიარდ მარიოტში გაიმართა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასა და საქართველოს თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის მეორე სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა EFTA-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების პირობების პროექტი. საჯარო შესყიდვები ერთ-ერთი სფეროა, რომელსაც გაითვალისწინებს შეთანხმება.

2015 წლის 2 თებერვალს, საქართველოს მთავრობის N95 განკაგულებით შეიქმნასაქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გამართვის მიზნით უწყებათაშორისი ჯგუფი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან სამუშაო ჯგუფის წევრები არიან: ლევან რაზმაძე- სააგენტოს თავმჯდომარე, სოფიკო ბერიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსიდა მანანა შურღულაია - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი.

რა არის EFTA? ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის არაწევრ ოთხ ქვეყანას: ისლანდიას, ლიხტენშტაინს, ნორვეგიას და შვეიცარიას.

EFTA-სთან შეთანხმების გაფორმება არის ახალი შესაძლებლობები ქართული ბიზნესისათვის - ქართული საქონლისა და მომსახურებისათვის ხსნის ევროპის ოთხი ქვეყნის 12 მილიონიან, მაღალმსყიდველუნარიან, სტაბილურ ბაზარს.

EFTA

სახელმწიფო შესყიდვების ტრენინგების მესამე ეტაპის მსმენელებს სერთიფიკატები გადაეცათ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფისში, სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტრენინგების "სახელმწიფო შესყიდვების კურსი" მესამე ეტაპის მსმენელებს სერთიფიკატები გადაეცათ.

სერთიფიკატები მსმენელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა და სასწავლო ცენტრის დირექტორმა თენგიზ თოფურიძემ გადასცეს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში მესამე ეტაპზე სწავლება გაიარა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე თბილისში განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, ცენტრალური ხელისუფლების, საჯარო სამართლის, იურიდიული პირების, თბილისის მერიის და სხვა სახელმწიფო უწყებების 45-მა მოსამსახურემ.

ტრენინგების პირველ ორ ეტაპზე გადამზადდა 92 მსმენელი ადგილობრივი თვითმმართველობებიდან.

მესამე ეტაპის მსმენელთათვის სწავლება 2 თებერვლიდან დაიწყო და 27 თებერვლამდე გაგრძელდა.

სასწავლო ცენტრის დირექტორის თენგიზ თოფურიძის თქმით, „ტრეინინგები გაგრძელდება. ჩვენ გვაქვს რამდენიმე წლიანი სავალდებულო პროგრამა სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვის. დაგეგმილია, ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონების დეპარტამენტთან ერთად ადგილებზე გასვლები და შეხვედრები შესყიდვების სპეციალისტებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში“.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი 2014 წლის ოქტომბრიდან ფუნქციონირებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ტრენინგების მეოთხე ეტაპის სწავლება დაიწყო





9 მარტს დაიწყო და 3 აპრილამდე გაგრძელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტრენინგების „სახელმწიფო შესყიდვების კურსის“ მეოთხე ეტაპის მსმენელთა სწავლება.

ამ ეტაპზე სწავლებას გაივლის თბილისში განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებების, სსიპ-ებისა და აიპ-ების 45 მოსამსახურე.

მსმენელთათვის ტრენინგი უფასოა.

ტრენინგებს უძღვებიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის დირექტორი თენგიზ თოფურიძე: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი ამოქმედდა 2014 წლის ოქტომბრიდან და დღემდე ჩატარდა ტრენინგების სამი ეტაპი; გადამზადდა ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სახელმწიფო უწყებების (მათ შორის კონფლიქტური რეგიონებიდან) 137 მოსამსახურე. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, გადამზადდება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებული 400-ზე მეტი მოსამსახურე.



შეხვედრა სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივით პერმანენტულად იმართება საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები სამინისტროებისა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასეთი ხასიათის პირველი შეხვედრა მიმდინარე წელსაც გაიმართა.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციების ინფორმირება და ამ მიზნით მათი წინადადებების განხილვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, ქ. თბილისის მერიის, ეკონომიკური საბჭოს, ბიზნესომბუდსმენის აპარატის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და სხვა უწყებების წარმომადგენლები.

პრეზენტაცია, რომელიც დამსწრეთ წარუდგინა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა იურისტმა ნოდარ ხერხეულიძემ, ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესში“ ცვლილებების შეტანას, უფრო კონკრეტულად კი, შერჩევაჰშეფასების ზოგიერთი პროცედურის კონკრეტული ვადის დადგენას, სახელდობრ, ცვლილებების პროექტის მიხედვით, დგინდება ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა/შეფასების დაწყების ვადა, დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების ვადა, განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის ნიმუშისა და მისი ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის წესები და ვადები; წესდება საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების ვადა; კონკრეტდება ხელშეკრულების გაფორმების ვადები და სხვ.

სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ პრეზენტაციის სახით წარმოდგენილი ცვლილებები.

ნათია ლომაურიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: მისასალმებელია აღნიშნული ცვლილებების გატარება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. გავეცანი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პრეზენტაციას შესყიდვების კანონომდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებია და ეს არა მხოლოდ ჩვენ, შემსყიდველებს, არამედ ბიზნესსაც შეუწყობს ხელს.

ირაკლი ბენდელიანი, ენერგეტიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: პირველ რიგში ძალიან დიდი მადლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ასეთი შეხვედრებისათვის, რადგან ყოველივე ეს მიმართულია სამინისტროების და უწყებების გამართული მუშაობისკენ. აღნიშნული ცვლილებები, ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის და პროცედურების დახვეწას.

თენგიზ ნასარიძე, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: ძალიან სასარგებლო პრაქტიკაა და მივესალმები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივებს საკანონმდებლო ბაზის დახვეწისკენ - ასეთ ფორმატში პრაქტიკოსებთან კონსულტაციები და შეხვედრები, აზრთა გაზიარება და ამ გზით კანონმდებლობის დახვეწა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და მზად ვართ შემდგომი თანამშრომლობისთვის.

ადამიანური რესურსების მართვა

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის №306 დადგენილებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა - „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებით და მასში შედის 6 დეპარტამენტი, 5 სამმართველო და 2 სამსახური.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 29 აგვისტოს №5 ბრძანებით შეიქმნა ახალი შინაგანაწესი.

2014 წელს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი 29 ვაკანსიაზე. სულ განაცხადი შემოიტანა 2968 კანდიდატმა, აქედან ქალი-1800, მამაკაცი-1168. სულ მიღებული იქნა 29 თანამშრომელი, აქედან ქალი-12, მამაკაცი - 17.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ შეადგინა კონკურსის კითხვარი, რომელსაც კომისია გამოიყენებს კანდიდატებთან გასაუბრების დროს.

ასევე შეიქმნა კანდიდატის შეფასების ფორმა, სადაც ჩამოთვლილია კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ხდება თითოეული კანდიდატის შეფასება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა სასწავლო ცენტრი, რომელიც აგრეთვე იზრუნებს სააგენტოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში მოხდა სრული რეორგანიზაცია და დეპარტამენტი დაკომპლექტდა ახალი კვალიფიციური კადრებით.

საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით შემუშავდა სამუშაოს აღწერილობის ახალი მოდელი, რის მიხედვითაც 2015 წლიდან იგეგმება სააგენტოს თითოეულ თანამდებობაზე სამუშაოს აღწერილობის მომზადება.

ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან თანამშრომლობით სააგენტოში დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - eHRMS.

2015 წლის პირველ კვარტალში იურიდიულ დეპარტამენტს დაემატა 2 სტაჟიორი, ხოლო მონიტორინგის დეპარტამენტს 1 სტაჟიორი.

პროცენტული გადანაწილება გენდერული ბალანსის მიხედვით:

მთლიანად სააგენტოში: ქალი - 50%, მამაკაცი - 50%

ხელმძღვანელ თანამდებობაზე: ქალი - 44%, მამაკაცი - 56%

შტატში აყვანილი: ქალი - 55%, მამაკაცი - 45%

ხელშეკრულებით აყვანილი: ქალი - 27%, მამაკაცი - 73%

სტაჟიორი: ქალი - 43%, მამაკაცი - 57%

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე „საკანონმდებლო მაცნეს“ განახლებული ვებგვერდის პრეზენტაციაზე

როგორც "საკანონმდებლო მაცნეს" პირველი ხელმძღვანელი

2015 წლის 11 მარტს სასტუმრო "ჰოლიდეი ინნ"-ში "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ახალი პროდუქტებისა და სერვისების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საბანკო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები.

ახალი პროდუქტები სტუმრებს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარე გიორგი პატარიძემ წარუდგინა.

შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ეს წარმატება და განვითარება უსურვა.

ლევან რაზმაძე „საკანონმდებლო მაცნეს“ დამაარსებელია.

ცნობისათვის:

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, დაარსებულია 1998 წელს და 2010 წლის ჩათვლით გამოიცემოდა ბეჭდური სახით.

2011 წლიდან კი **საქართველოს საკანონმდებლო მაცნე** ახალი ფორმატით მომხმარებელს სთავაზობს ყველასათვის ხელმისაწვდომ, დაცულ, მუდმივად განახლებად ოფიციალურ ვებგვერდს - **matsne.gov.ge**, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები.

სწორედ **matsne.gov.ge**-ზე გამოქვეყნების შემდეგ იძენს ნებისმიერი ნორმატიული აქტი ოფიციალურ იურიდიულ ძალას.

ვებგვერდი მომხმარებელს სთავაზობს ოფიციალური იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტების სრულყოფილ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს ყველა ნორმატიულ აქტს. ნორმატიული აქტების საძიებო სისტემაში მომხმარებელს შეუძლია იხილოს კოდიფიცირებული აქტები და მათი ისტორია, განხორციელებული ცვლილების ყველა სტადიაზე.

შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტების გერმანელ კოორდინატორთან

GIZ CIM

11 მარტს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კახა დემეტრაშვილი და ანალიტიკოსი ალექსანდრე ჩხიკვიშვილი (ინტეგრირებული ექსპერტი) შეხვდნენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საერთაშორისო განვითარებისა და მიგრაციის ცენტრის (CIM) ინტეგრირებული ექსპერტების კოორდინატორს ქალბატონ ელიზაბეტ რიხტერს.

შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფისში. საუბრის თემა იყო სააგენტოში ინტეგრირებული ექსპერტების საქმიანობის, თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაფართოების საკითხები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2013 წლის ზაფხულიდან თანამშრომლობს საერთაშორისო განვითარებისა და მიგრაციის ცენტრთან.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა